მონიტორინგის ანგარიში № 03 - 2021

ორგანიზაციის დასახელება	შპს "Georgian Veritas"
აუდიტორები	მარია პოლიაკოვა, დავით ჯინჭარაძე, ირაკლი სირაბიძე, , ნინო ასათიანი
აუდიტის თარიღი	13.07.2021
მისამართი	საქართველო, ქ. ბათუმი, ნონეშვილის N 63
აუდიტის ტიპი	გეგმიური მონიტორინგი
წინა აუდიტის თარიღი	28.11.2019

<u>განმარტებები:</u>

შეუსაბამობა - სტანდარტის მოთხოვნების შეუსრულებლობა.
შენიშვნა - დარღვევა, რომელიც გამოწვეულია მექანიკური შეცდომით ან მოხდა ერთჯერადად და არ მოქმედებს საბოლოო შედეგზე.
რეკომენდაცია - რჩევა პოტენციური შეუსაბამობის და შენიშვნის თავიდან ასარიდებლად.

შესავალი:

მიმდინარე წლის 13 ივლისს საქართველოს საზღვაო კოდექსის მოთხოვნების გათვალისწინებით გეგმიური მონიტორინგი ჩაუტარდა აღიარებულ ორგანიზაციას. მონიტორინგი ითვალისწინებდა ასევე 2019 წლის 28 ნოემბერს მონიტორინგის დროს დაფიქსირებული შენიშვნებისა და შეუსაბამობების აღმოფხვრის ადგილზე გადამოწმებას.

2019 წლის მონიტორინგის შენიშვნების შესრულების სტატუსი:

2019 წლის 28 ნოემბერს ჩატარებული მონიტორინგის დროს დაფიქსირებულ იქნა სულ: 5 შეუსაბამობა, 3 შენიშვნა და 3 რეკომენდაცია.

ხარისხის მართვის სისტემის კუთხით შენიშვნები/შეუსაბამობები უმეტესად არ აღმოფხრილა, ხოლო დანარჩენი შენიშვნა/შეუსაბამობები აღმოფხვრილია. ასევე, გათვალისწინებულია სააგენტოს რეკომენდაციები.

შედეგები:

1. **რისკები**

   რისკების დოკუმენტი არ არის იდენტიფიცირებული, მაგრამ დამტკიცებულია 05.01.2021წ., ხელმოწერილია დირექტორის მიერ. აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს „პოლიტიკა რისკების მართვის კუთხით" ნდ-2-02-01 წესის დანართს, სადაც კონკრეტულად გაწერილია ფორმის შინაარსი. რისკების რეესტრში ასახული რისკების ჩამონათვალი ედრება რისკების დოკუმენტში ჩამოთვლილს ნდ 2-02-01, 4.1 -ში ჩამოთვლილია რისკების კატეგორია, რომელიც გადმოტანილია რისკების რეესტრში, თუმცა არ არის შეტანილი „ფორს-მაჟორული რისკები", რომლებიც გამოწვეულია პანდემიით გამოწვეული პირობებით. რისკების რეესტრში, ფორს-მაჟორული რისკი ნახსენებია. შესაბამისად - სრულყოფილი თანხვედრა არ იკვეთება. პირველ რისკთან დაკავშირებით ჩასატარებელ ღონისძიებად მითითებულია „ტექ.სწავლებების ჩატარება, სემინარებით უზრუნველყოფა და ა.შ" პესონალისთვის. მაგალითად: „Refreshing Certification of Qualification Training of Marine Surveyor – BV – 17-22 July, 2021. Teimuraz Beraia – surveyor – Basic & General Certification and Qualification Training of Marine Surveyor." ასევე, ნდ 2-02-01-ის „რისკების შეფსების" ნაწილში წარმოდგენილია რისკის დონეების გრადაცია „მაღალი / საშუალო / დაბალი", რომელიც %-ად ფასდება. რისკების რეესტრში ანალოგიური %-ლი მაჩვენებლებია მითითებული და ასევე დამატებულია 5-ქულიანი სისტემა რისკების შეფასებასთან დაკავშირებით. გაუგებარია 5-ქულიანი სისტემის მინიჭების დანიშნულება. ასევე, კონკურენციასთან დაკავშირებული რისკი „მაღალი კონკურენცია სხვა საკლასიფიკაციო ორგანიზაციებიდან" - აღნიშნული რისკი 15%-ად არის შეფასებული. ხარისხის სახელმძღვანელოში, რომელიც 2017 წლის რევიზიით არის წარმოდგენილი ნდ 2-01-01, 4.3 პუნქტში აღწერილია რისკის მართვის პროცესი, რომელიც მკვეთრად განსხვავდება განახლებული დოკუმენტისგან „პოლიტიკა რისკების მართვაში" - ნდ-2-02-01.

   ფიქსირდება შეუსაბამობა.

2. **კონტექსტი და დაინტერესებული მხარეები**

   აღნიშნული შეუსაბამობა ძალაში რჩება. შემაჯამებელ მიმოხილვაში არ მოიპოვება მტკიცებულება დაინტერესებული მხარეებისა და კონტექსტის გადახედვის შესახებ.

   ფიქსირდება შეუსაბამობა.

3. **შემაჯამებელი მიმოხილვა**

   2021 წლის შემაჯამებელი მიმოხილვა ჯერ არ არის ჩატარებული. საზოგადოების მიერ დადგენილია ყოველწლიური პერიოდულობა და ტარდება აგვისტოს თვეში. ამ ფაქტის გათვალისწინებით შემოწმდა 2020 წლის შემაჯამებელი მიმოხილვა. წარმოდგენილ იქნა ნდ 2-03-13 – 16.08.2020 წლის გამოშვების, სადაც 4.3 პუნქტში ჩამოთვლილია გვ. 3 თუ რას ეყრდნობა აღნიშნული ანალიზი. მაგალითად: 8) მითითებულია რიკსების შეფასების ანალიზი - მაგრამ რისკების ანალიზი არ ჩანს. 4) სურვეიერების საქმიანობის შესრულების შეფასების მაჩვენებელი - მე-5 გვერდზე პ. 8 - მითითებულია რომ ჩატარდა სურვეიერების საქმიანობის შემოწმება / შეფასევბვა და აღნიშნული შეფასება დადებითად ფასდება, თუმცა არ ჩანს რამდენი სურვეიერის შეფასება განხორციელდა და რა არის შეფასების კრიტერიუმი. ასევე,

შემაჯამებელი მიმოხილვა არ შეიცავს კონტექსტისა და დაინტერესებული მხარეების შესახებ ინფორმაციას. 4.3 პუნქტში - შემომავალ მონაცემებში არ იყო წარმოდგენილი მომხმარებლების კმაყოფილების შეფასების მაჩვენებელი. ასევე, შემაჯამებელი მიმოხილვა არ მოიცავს ტენდენციურ ანალიზს მათ მიერ ტექნიკურ ზედამხედველობაში აყვანილი გემების, გემების ტიპების, ტონაჟის, ძირითადად წამოჭრილი პრობლემების შესახებ ინფორმაცია. დირექტორის განმარტებით, ბოლო 5 წლის განმავლობაში მინ. 6 გემი მოიხსნა აღნიშნული საკლასიფიკაციო საზოგადოების რეესტრიდან, თუმცა ამის შესაბამისი აღნიშვნა ჟურნალში Ж-03-01 არ ჩანს. ასევე, მოხსნილი გემების შესახებ ინფორმაცია არ არის მითითებული შემაჯამებელი მიმოხილვის დოკუმენტში. რომელიც წარმოადგენს ისო 9001-ს სტანდარტის 9.1.2-ის მთავარ მოთხოვნას მონიტორინგისა და ანალიზის შესახებ, სადაც წერია რომ ორგანიზაციამ უნდა განსაზღვროს მონიტორინგის მეთოდები, პრინციპები და პერიოდულობა.

ფიქსირდება შეუსაბამობა.

4. **შიდა აუდიტები**

წარმოდგენილია შიდა აუდიტის გეგმა გრაფიკი და შიდა აუდიტის პროგრამა, რომელიც დამტკიცებულია 20.01.2020 წელს. განსაზღვრულია 2020 წლის აგვისტოს თვე. აღსანიშნია რომ გეგმას არ აქვს მოქმედი ფორმის ნომერი. ასევე, გეგმის მე-5 პუნქტში მითითებულია დოკუმენტთა ნუსხა, რის მიხედვითაც უნდა ჩატარდეს შიდა აუდიტი. მითითებულია დოკუმენტის ნომერი ნდ 2-01-01, რომელიც ხარისხის სახელმძღვანელოს ეხება. გაუგებარია რის მიხედვით ხდება აუდიტის ჩატარება. წარმოდგენილია შეუსაბამობის აქტები N 20.ВП.01.02/20.ВП.01. 2019 წლის შენიშვნა რომელიც ეხებოდა ჩეკლისტში კონტექსტის, დაინტერესებული მხარეებისა და რისკების შესახებ მოთხოვნები შესრულდა. თუმცა ორი შეუსაბამობის აქტი, რომელიც გამოიწერა შიდა აუდიტის დროს ეხება უმნიშვნელო საკითხებს, როგორიცაა „ხელმოუწერელი დოკუმენტი დირექტორის მიერ“ და „არა იდენტიფიცირებული დოკუმენტების გამოყენება“. შიდა აუდიტის ჩატარება არ ადასტურებს დანერგილი ხარისხის მართვის სისტემის ეფექტურობას.

ფიქსირდება შეუსაბამობა.

5. **გარე აუდიტი**

წარმოდგენილია ბიურო ვერიტასის მიერ საზედამხედველო აუდიტის ანგარიში, რომელიც ჩატარდა აღნიშნულ საკლასიფიკაციო საზოგადოებაში 19.11.2020 წელს.

შენიშვნა არ გაგვაჩნია.

6. **ხარისხის მართვის სისტემის შედეგები**

2020 წლის ხარისხის მართვის სისტემის შედეგები არ იყო წარმოდგენილი კომპანიის მიერ, რაც წარმოადგენს საზღვაო კოდექსის მოთხოვნას.

ფიქსირდება შეუსაბამობა

7. **სურვეერები**

აუდიტის დროს ვერ იქნა წარმოდგენილისურვეერების კატეგორიებად დაყოფის დოკუმენტი. კერძოდ, სურვეერები რომელ გემს ამოწმებენ და რა მიმართულებით. ორგანიზაციას არ გააჩნია შესაბამისი მატრიცა.

ფიქსირდება შენიშვნა.

8. **აღიარებული ორგანიზაციის ვებ-გვერდი**

საქართველოს საზღვაო კოდექსის მუხლი 44[13] , მე-3 პუნქტის შესაბამისად აღიარებული ორგანიზაცია ვალდებულია გააჩნდეს საკუთარ ოფიციალურ ვებ-გვერდი, სადაც უნდა განათავსოს ინფორმაცია გემებისთვის კლასის მინიჭების, გადაცემის, შეცვლის, შეჩერების, გაუქმების შესახებ, გეგმური შემოწმების, რეკომენდაციების, გემისთვის გაცემული კლასის პირობებისა და საქართველოს სახელმწიფო დროშით მცურავი, კლასისთვის მიკუთვნებული გემების ექსპლუატაციის პირობები და ექსპლუატაციის შეზღუდვების შესახებ. აღიარებულ ორგანიზაციის ვებ-გვერდიზე არ არის სრულყოფილად განთავსებული შესაბამისი ინფორმაციები.

ფიქსირდება შეუსაბამობა.

9. **ინფორმაციის მიწოდება**

საქართველოს საზღვაო კოდექსის მუხლი 44[13] , მე-2 პუნქტის შესაბამისად, აღიარებული ორგანიზაციას სააგენტოს აწვდის ყველა არსებითი ინფორმაციას საქართველოს გემებისთვის კლასის მინიწების, გადაცემის, შეცვლის, შეჩერების ან გაქუმების შესახებ. ინფორმაციის მიწოდება ხორციელდება ელ-ფოსტის შესაბამისად, კლასში არსებული გემების გადაცემა სხვა კლასში არ მომხდარა, შეცვლა განხორციელდა. კერძოდ, აღნიშნულ კლასში მცურავ საშუალება კადეტთან დაკავშირებით ინფორმაციის გავცლა კლასებს შორის არ განხორციელებულა.

დაფიქსირდა შეუსაბამობა.

10. **სერვის პროვაიდერების პროცედურა**

სააგენტოს მიერ მოთხოვნილი იქნა აღიარებული ორგანიზააცის მიერ აღიარებული/ავტორიზებული სერვის პროვაიდერების მონაცემები და აღიარების პროცედურა, რომლებიც ჩართული არიან სხვადასხვა საქმიანობაში, მაგალითად: ჰიდრავლიკური გამოცდები, სამაშველო ტივების შემოწმება, ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებების (ცეცხლმაქრის) შემოწმება და სხვა. ორგანიზაციის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი შესაბამისი პროცედურა თუ სახელმძღვანელო აღიარება /ავტორიზაციასთან დაკავშირებით.

ფიქსირდება შეუსაბამობა.

11. **სააგენტოს ცირკულარი : № 25/CIRC/FSI**
შემოწმებული იქნა მშენებარე გემების პირადი საქმეები სააგენტოს ცირკულარი N25/CIRC/FSI შესაბამისად. აღიარეული ორგანიცია არ მოქმედებს ცირკულარის შესაბამისად. არ არის რიგი დამადსტურებელი დოკუმენტები (მაგალითად ხელშეკრულება გემთბლობელსა და აღიარებულ ორგანიზაციას შორის). ადგილი აქვს ცირკულარის მოთხოვნების შეუსრულებლობას
ფიქსირდება შენიშვნა.

12. **გემის ტიპის/ტონაჟის სერთიფიკატი**
ტენიკური ზედამხედველობის დოკუმენტში არ არის აღნიშნული თუ რა ტიპის სერტიფიკატებს გასცემენ გემის ტიპის/ტონაჟის მიხედვით. რეკომენდაცია - აღნიშნულის შესახებ უნდა გაიწეროს პროცედურებში.
ფიქსირდება შენიშვნა.

13. **ტონაჟის სერთიფიკატი**
შემოწმდა აღიარებული ორგანიზაციის მიერ გაცემულია გემის ტონაჟის სერთიფიკატი. საერთაშორისო ტონაჟის სერტიფიკატი გაცემული უნდა იყოს სააგენტოს მიერ დამტკიცებული ფორმით.
ფიქსირდება შეუსაბამობა.

დასკვნა:

2021 წლის 13 ივლისის აუდიტმა დაადასტურა, რომ საკლასიფიკაციო საზოგადოება დაკომპლექტებულია კვალიფიციური კადრებით, თუმცა ორგანიზაციაში დანერგილი ხარისხის მართვის სისტემა არ პასუხობს საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებს.

მონიტორინგის დროს ასევე გამოიკვეთა საქართველოს საზღვაო კოდექსით და საერთაშორისო კონვენციიების გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობა, რაც პირდაპირ კავშირშია აღიარებული ორგანიზაციის საქმიანობასთან.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაფიქსირებული შენიშვნები/შეუსაბამობები ატარებს კრიტიკულ ხასიათს და აღიარებულ ორგანიზაციას ეძლევა ვადა მიმდინარე წლის 25 დეკემბრამდე ყველა გარემოების აღმოფხვრისთვის, რაც სააგენტოს უნდა წარედგინოს შესაბამისი მტკიცებულებებით. წინააღმდეგ შემთხევაში ორგანიზაციას შესაძლოა შეუჩერდეს საქმიანობა გარკვეული ვადით ან ჩამოერთვას სააგენტოს აღიარება.

მონიტორინგის ჯგუფის წევრების (ხელმოწერები):

დავით ჯინჭარაძე ________

ირაკლი სირაბიძე ________

მარია პოლიაკოვა ________

ნინო ასათიანი ________

ანგარიშის ჩაბარების თარიღი: ____________ [illegible]

ორგანიზაციის წარმომადგენელი (სახელი, გვარი, ხელმოწერა):